

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

პირველი სექცია

მენეშევა რუსეთის წინააღმდეგ

(განაცხადი No 59261/00)

ბადაწყვეტილება

სტრასბურგი

2006 წლის 9 მარტი

საქმეზე მენეშევა რუსეთის წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (პირველი სექცია), რომლის პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი ხ. ლ. როზაკისი, *თავმჯდომარე,*

ქ-ნი ს. ბოტუჩაროვა,

ბ-ნი ა. კოვლერი,

ქ-ნი ე. შტაინერი,

ბ-ნი კ. ხაჯიევი,

ბ-ნი დ. შპილმანი,

ბ-ნი ს. ე. იებენსი, *მოსამართლეები,*

და ბ-ნი ს. ნილსენი, *სექციის მდივანი,*

2006 წლის 14 თებერვალს განმარტოებით ითათობირა,

გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო ბოლოს ნახსენებ დღეს:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო განაცხადი (no. 59261/00) რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომელიც 2000 წლის 20 ივნისს სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლება დაცვის კონვენციის („კონვენციის“) 34-ე მუხლის შესაბამისად შეიტანა რუსეთის მოქალაქემ, ქ-მა ოლგა ევგენის ასულმა მენეშევამ.

2. რუსეთის მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა ბ-ნი პ. ლაპტევი, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

3. განმცხადებელი ასაჩივრებს პოლიციის მიერ სასტიკ მოპყრობას, მისი საჩივრის ეფექტიანი გამოძიების არარსებობას, უკანონო დაკავებასა და დაპატიმრებას და ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების არარსებობას ზემოხსენებული საჩივრების მიმართ.

4. განაცხადი გადაეცა სასამართლოს პირველ სექციას (სასამართლო რეგლამენტის 52-ე წესის 1-ლი პუნქტი). 26-ე წესის 1-ლი პუნქტის შესაბამისად ამ სექციაში შეიქმნა პალატა საქმის განსახილველად (კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

5. 2004 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით სასამართლომ საქმე ცნო ნაწილობრივ დასაშვებად.

6. განმცხადებელმა და მთავრობამ წარადგინეს თავიანთი მოსაზრებანი საქმის არსებითი მხარის შესახებ (59-ე წესის 1-ლი პუნქტი). მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქმის არსებით მხარეზე მოსმენა არ იყო საჭირო (59-ე წესის 1-ლი პუნქტი *in fine*), მხარეებმა წერილობით უპასუხეს თითოეული მათგანის მოსაზრებებს.

7. 2004 წლის 1 ნოემბერს სასამართლომ შეცვალა სექციების შემადგენლობა (25-ე წესის 1-ლი პუნქტი). ეს საქმე გადაეცა ახლად შექმნილ პირველ სექციას (25-ე წესის 1-ლი პუნქტი).

შაქტები

I. საქმის ბარემოებები

8. განმცხადებელი დაიბადა 1979 წელს და ცხოვრობს ქ. ბატაისკში, როსტოვის რეგიონი.

9. 1999 წლის 11 თებერვალს პოლიციამ დაიწყო გამოძიება მკვლელობის საქმეზე, რომელშიც მთავარი ეჭვმიტანილი იყო „ლ“. მიიჩნეოდა, რომ „ლ“ განმცხადებლის მეგობარი იყო.

10. იმავე დღეს პოლიციამ გადაწყვიტა, გაეჩხრიკა განმცხადებლის ბინა „ლ“-ს მოსაძებნად.

11. 1999 წლის 12 თებერვალს, დაახლოვებით შუადღისას, პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ განმცხადებლის ბინაში, სავარაუდოდ გასაჩხრეკად, მაგრამ ვინაიდან მათ ვერ წარმოადგინეს ორდერი, განმცხადებელმა არ შეუშვა ისინი შინ.

12. მომდევნო დღეს, 1999 წლის 13 თებერვალს, დაახლოებით დღის 4 საათზე და 30 წუთზე სამი პოლიციელი სამოქალაქო ტანსაცმლით ელოდებოდნენ განმცხადებელს ბინის კართან. ერთ-ერთმა მათგანმა წარმოადგინა პოლიციის მაიორი „ს“-ის პირადობის დამადასტურებელი საბუთი და მოითხოვა განმცხადებლის ბინაში შესვლა. ვინაიდან მათ კვლავინდებულად არ ჰქონდათ ორდერი, განმცხადებელმა მათ კიდევ ერთხელ განუცხადა უარი შინ შეშვებაზე. პოლიციელებმა დაუინებით მოითხოვეს შეშვება და განმცხადებელსა და პოლიციელებს შორის წარმოიშვა ცხარე დისკუსია, რომლის განმავლობაში ორივე მხარისაგან გაისმა შეურაცხყოფელი სიტყვები და მუქარა. საბოლოოდ, მაიორმა გასცა ბრძანება დაეკავებინათ განმცხადებელი. მისმა ქვეშევრდომებმა „პ“ და „ბ“ ხელი სტაცეს განმცხადებელს, გადმოატრიალეს გავდაყირა და განაგრძობდნენ მის შეშინებას, ჩააგდეს მანქანაში, რომელსაც არ ჰქონდა პოლიციის მანქანის განმასხვავებელი ნიშანი. დაპირისპირებისას განმცხადებელი კარიდან ხელისკვრით გამოაგდეს და მან დაიზიანა ფეხი და თავი; მან ასევე მიარტყა თავი მანქანას, როდესაც ის ხელისკვრით შეაგდეს მანქანაში. გზაში მაიორი „ს“-ი დაემუქრა განმცხადებელს და განუცხადა, რომ ის სცემდა მის ოჯახს და გაქურდავდა მის ბინას ჩხრეკისას.

13. განმცხადებელი მიიყვანეს რკინიგზის რაიონის პოლიციის განყოფილებაში ქალაქში დონი როსტოვზე. განმცხადებელს არ აცნობეს, რატომ მიიყვანეს ის პოლიციის განყოფილებაში. მთავრობის შემდგომი განმარტებით, ეს აუცილებელი იყო პოლიციისათვის ძალისმიერი წინააღმდეგობის გაწევის შესახებ ოფიციალური ოქმის შესავსებად. მიუხედავად ამისა, პოლიციის ოქმში განსაზღვრული იყო, რომ ის მიიყვანეს დასაკითხად.

14. პოლიციის განყოფილებაში განმცხადებელი მიიყვანეს სისხლის სამართლის გამოძიების დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან, რომელმაც დაკითხა ის „მისი მეუღლის“ ადგილსამყოფელის შესახებ. განმცხადებელმა უთხრა მას, რომ ის არასოდეს ყოფილა დაქორწინებული, რის შემდეგაც მან დაიწყო განმცხადებლის დახრჩობა, ხოლო რამდენიმე სხვა პოლიციელმა დაიწყეს განმცხადებლის ცემა. დაახლოებით ორი საათის განმავლობაში ისინი პანდურს ჰკრავდნენ და ფეხებზე ურტყამდნენ განმცხადებელს, ისროდნენ მთელ ოთახში, სცემდნენ მას ხელკეტით და თავს კედელზე არტყმევიანებდნენ. ცემისას ისინი აბრალებდნენ მას ტყუილს, აყენებდნენ შეურაცხყოფას, ემუქრებოდნენ გაუპატიურებით და ძალადობით ოჯახის წინააღმდეგ.

15. განმცხადებელმა ითხოვა, თავისი ნათესავებისათვის შეეტყობინებინათ მისი დაკავების შესახებ; მან ასევე ითხოვა სამედიცინო დახმარება და ადვოკატთან დაკავშირების უფლება. ყველა მის თხოვნაზე უარი განუცხადეს.

16. განმცხადებლის დაკითხვის დასასრულს რკინიგზის რაიონის პროკურორის მოადგილე, „დ“, ეწვია პოლიციის განყოფილებას და შევიდა იმ ოთახში, რომელშიც განმცხადებელი სცემეს. განმცხადებელმა ისარგებლა შემთხვევით და შესჩვილა დაკავებისა და ცემის შესახებ. მან მოუსმინა განმცხადებელს და შესთავაზა, რომ მას დაეწერა მისთვის საჩივარი სასტიკი მოპყრობის შესახებ. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მან იქვე დაწერა საჩივარი და ხელზე გადასცა ის „დ“-ს.

17. ამის შემდეგ, დაახლოებით დღის 7 საათზე, განმცხადებელი წაიყვანეს სახლში, რადგან პოლიციას სურდა, ჩაეტარებინა მისი ბინის ჩხრეკა. განმცხადებლის მეზობელს, „ზ“-ს, რომელიც მოიწვიეს მოწმის სახით, უთხრეს, რომ ისინი ეძებდნენ „ლ“-ს და მან დაუდასტურა, რომ „ლ“ არ ცხოვრობდა იქ. პოლიციამ დაჟინებით მოითხოვა ბინის ჩხრეკა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მათ კვლავ არ ჰქონდათ ორდერი და განმცხადებელმა კვლავინდებულად უარი განუცხადა შინ შეშვებაზე. ხანმოკლე დაპირისპირების შემდეგ განმცხადებელს კიდევ ერთხელ სცატეს ხელი და თავდაყირა წაიყვანეს მანქანისაკენ, გზაში ის თავით ეჯახებოდა კედლებს და ენარცხებოდა კიბეებს. ის წაიყვანეს რკინიგზის პოლიციის განყოფილებაში, სადაც ის კვლავ სცემეს, დაკითხეს და ბრალი დასდეს „ლ“-ს ადგილსამყოფელის დაფარვაში. შემდეგ ის მოათავდეს დაკავების საკანში.

18. განმცხადებელი ამყოფეს დაკავების საკანში 1999 წლის 14 თებერვლის დღის 2 საათამდე და 30 წუთამდე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი სადავოდ არასოდეს გამხდარა, ვერ იქნა აღმოჩენილი რაიმე ჩანაწერი ამ პერიოდის განმავლობაში განმცხადებლის დაკავების შესახებ.

19. 1999 წლის 14 თებერვალს დაახლოებით დღის 2 საათზე მოხდა განმცხადებლის პირადი ჩხრეკა და ბინის გასაღებების ამოღება. მოგვიანებით იმავე დღეს რკინიგზის რაიონის პროკურორმა გამოსცა ორდერი განმცხადებლის ბინის ჩხრეკის შესახებ და ეს ჩხრეკა ჩატარდა.

20. იმავე დღეს განმცხადებელი წარუდგინეს თანამდებობის პირს, რომელმაც თავის გაცნობის გარეშე უთხრა მას „ხუთი დღე“. მოგვიანებით

განმცხადებელმა გაიგო, რომ ის იყო ქ. როსტოვის რკინიგზის რაიონული სასამართლოს მოსამართლე „პ“ და, რომ „ხუთი დღე“ ნიშნავდა ხუთდღიან პატიმრობას ადმინისტრაციული გადაცდომისათვის, პოლიციისათვის ძალისმიერი წინააღმდეგობის გაწევის გამო. იმავე დღეს განმცხადებელი წაიყვანეს ადმინისტრაციული დაკავების სპეციალურ ცენტრში.

21. 1999 წლის 18 თებერვალს, როდესაც უნდა მომხდარიყო განმცხადებლის განთავისუფლება ხუთდღიანი დაკავების შემდეგ, პოლიციის მაიორმა „ს“-მა, რომელმაც ის დააკავა, გამოწერა განმცხადებელი დაკავების ცენტრიდან, წაიყვანა რკინიგზის რაიონის პოლიციის განყოფილებაში და უბრძანა მას გაერეცხა იატაკი პოლიციის განყოფილების შემოსასვლელ დერეფანში. როდესაც განმცხადებელმა ეს დაასრულა, მაიორმა ის გაანთავისუფლა.

22. 1999 წლის 19 თებერვალს განმცხადებელმა გაიარა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. სამედიცინო ექსპერტმა დაადგინა, რომ მას აღენიშნება არაერთი სისხლჩაქცევა სახეზე და ფეხებზე, დაბეჭდილობები სახეზე, ყბაზე, კისერზე და ფეხებზე, თავის რბილ ქსოვილებზე ტრავმული შეშუპება.

1. სასტიკ მოპყრობასა და უკანონო დაკავებასთან დაკავშირებული სასამართლო განხილვა

23. 1999 წლის 11 მარტს როსტოვის ოლქის გუბერნატორის სამსახურთან არსებულმა ადამიანის უფლებათა კომისიის წევრმა განმცხადებლის სახელით მიმართა საჩივრებით როსტოვის რეგიონის შინაგან საქმეთა დეპარტამენტის უფროსს და როსტოვის რეგიონის პროკურორს. ისინი მოითხოვდნენ გამოძიების ჩატარებას პოლიციის მიერ განმცხადებლის მიმართ სასტიკ მოპყრობასთან და მის უკანონო დაკავებასთან დაკავშირებით; მათ თანდართული ჰქონდათ ფაქტების დეტალური გადმოცემა და 1999 წლის 19 თებერვლის სასამართლო-სამედიცინო დასკვნა.

24. 1999 წლის 15 მარტს განმცხადებელმა სარჩელი შეიტანა როსტოვის რეგიონის ქ. ბატაისკის საქალაქო სასამართლოში, მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, რომელშიც მან მიუთითა სასტიკ მოპყრობაზე პოლიციის მხრიდან და შეედავა მის დაკავებასა და ბინის ჩხრეკასთან დაკავშირებით.

25. 1999 წლის 30 მარტს როსტოვის რეგიონის შინაგან საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ შეატყობინა განმცხადებელს, რომ განხორციელდა შიდა მოკვლევა განმცხადებლის საჩივრის გამო და, რომ მისი მტკიცებების მიიჩნიეს დაუსაბუთებლად. შიდა მოკვლევის დასკვნები გადაიგზავნა პროკურატურაში. ამასთანავე, განმცხადებელს ასევე შეატყობინეს, რომ რამდენიმე თანამდებობის პირს, რომელთა ვინაობა არ იყო დაზუსტებული, ბრალი დაედოთ დისციპლინურ დარღვევებში. ადამიანის უფლებათა კომისიის წევრმა მიიღო მსგავსი წერილი.

26. 1999 წლის 12 აპრილს განმცხადებელმა მიიღო წერილი რკინიგზის რაიონის პროკურორის მოადგილის, „დ“-საგან, რომელსაც განმცხადებელი შეხვდა პოლიციის განყოფილებაში (იხ. მე-16 პუნქტი). მან შეატყობინა განმცხადებელს, რომ პოლიციის წინააღმდეგ განმცხადებლის საჩივარი მას გადმოუგზავნა ქ. როსტოვის პროკურატურამ და რომ მან გადაწყვიტა, არ აღძრას სისხლის სამართლის საქმე პოლიციის იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებსაც განმცხადებელი ბრალს სდებს.

27. 1999 წლის 7 მაისს რკინიგზის რაიონის პროკურორმა „ხ“-მ შეატყობინა ქ. ბატაისკის საქალაქო სასამართლოს, სავარაუდოდ მათი ოფიციალური მოთხოვნის შემდეგ, რომ განმცხადებლის დაკავებასა და დაპატიმრებასთან დაკავშირებული ვერცერთი დოკუმენტები ვერ იქნა აღმოჩენილი.

28. 1999 წლის 9 ივნისს ქ. როსტოვის საქალაქო პროკურატურიდან პროკურორის მოადგილემ დაადასტურა ეს გადაწყვეტილება.

29. 1999 წლის 22 დეკემბერს როსტოვის რეგიონის ქ. ბატაისკის საქალაქო სასამართლომ განიხილა განმცხადებლის სარჩელი და დაადგინა, რომ განმცხადებლის ბინის ჩხრეკა, მისი წინასწარი დაკავება და ხუთდღიანი დაკავება იყო კანონიერი. სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიცია მოქმედებდა კანონიერად, პროკურორის ნებართვით და რომ ეს აუცილებელი იყო მკვლელობის საქმის გამოსაძიებლად. რაც შეეხება სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებულ განცხადებებს, სასამართლომ მოიშველია პროკურორის უარი, გამოძიების დაწყების შესახებ პოლიციის თანამშრომელთა მიმართ და პოლიციის შიდა მოკვლევის დასკვნა, რომ ვერანაირი სასტიკი მოპყრობა ვერ დადგინდა. მან უარყო სასამართლო-სამედიცინო დასკვნა, როგორც საქმესთან კავშირში არმყოფი და დაადგინა, რომ განცხადება სასტიკი მოპყრობის შესახებ იყო დაუსაბუთებელი.

30. 2000 წლის 23 თებერვალს როსტოვის საოლქო სასამართლომ განიხილა განმცხადებლის აპელაცია და მხარი დაუჭირა ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას.

2. ადმინისტრაციული დაკავების გასაჩივრება

31. 1999 წლის 15 მარტს განმცხადებელი შეეცადა, გაესაჩივრებინა ხუთდღიანი დაკავება როსტოვის საოლქო სასამართლოში. ის ამტკიცებდა, რომ მას არ აცნობეს იმ თანამდებობის პირის სახელი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მისი დაკავების შესახებ და, რომ მან არ დაუსვა მას კითხვები, არ ამცნო მის წინააღმდეგ რაიმე ბრალდების შესახებ, არ აუხსნა მის წინაშე განმცხადებლის წარდგენის მიზანი და არ მისცა მას დაკავების შესახებ გადაწყვეტილების ასლი.

32. 1999 წლის 17 მარტს იმავე მოსამართლემ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ხუთდღიანი პატიმრობის შესახებ, შეატყობინა განმცხადებელს, რომ ეს გადაწყვეტილება არ შეიძლება გასაჩივრდეს ჩვეულებრივი წესით და რომ ის შეიძლება გასაჩივრდეს პროკურორის მიერ.

33. 1999 წლის 25 მარტს განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა ქ. როსტოვის რკინიგზის რაიონულ სასამართლოში და როსტოვის საოლქო სასამართლოში. მან გაასაჩივრა უარი მისი სარჩელის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის შესახებ.

34. 1999 წლის 26 მაისს როსტოვის საოლქოს სასამართლოს თავმჯდომარემ უპასუხა განმცხადებელს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებით, მისი დაკავება იყო კანონიერი, რადგან ის გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული დარღვევისათვის, მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის შესაბამისად.

35. 1999 წლის 17 ივლისს განმცხადებელმა შეიტანა სხვა სარჩელი როსტოვის საოლქო სასამართლოში მისი დაკავების შესახებ გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

36. 1999 წლის 23 აგვისტოს როსტოვის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა უპასუხა, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული დაკავების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

37. განმცხადებელი შემდგომში შეეცადა, ედავა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებზე, მაგრამ არცერთი სარჩელი არ მიიღეს იმ საფუძველით, რომ სასამართლოს არ გააჩნდა იურისდიქცია ამ საკითხის მიმართ.

3. მომდევნო განხილვა

38. 2003 წლის 15 იანვარს რკინიგზის რაიონის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლო საქმე დაკავებასთან, დაპატიმრებასა და სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით განმცხადებლის საჩივრის გამო.

39. 2003 წლის 28 თებერვალს როსტოვის რეგიონის პროკურორმა თავისი ინიციატივით შეიტანა წარდგინება როსტოვის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარესთან, რათა გაუქმებულიყო 1999 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც განმცხადებელს წაყენა ბრალდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის. მან განაცხადა, რომ განმცხადებლის მიერ წინააღმდეგობის გაწევა პოლიციის თანამშრომელთათვის არ არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ვინაიდან პოლიცია მოქმედებდა უკანონოდ და რომ პატიმრობა ნებისმიერ შემთხვევაში არათანაზომიერი სასჯელი იყო.

40. 2003 წლის 5 მარტს როსტოვის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ დააკმაყოფილა წარდგინება და გააუქმა გადაწყვეტილება იმ საფუძველით, რომ მოსამართლეს, რომელმაც წაუყენა ბრალდება განმცხადებელს, არ განუხილავს საქმის გარემოებები და არ დაუდგენია იყო თუ არა განმცხადებელი დამნაშავე რაიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის. დადგინდა, რომ არ მომხდარა ძალისმიერი წინააღმდეგობა, რადგან პოლიცია ატარებდა გამოძიებას და არ იცავდა საზოგადოებრივ წესრიგს მაშინ, როდესაც განმცხადებელმა გაუწია მას წინააღმდეგობა. ასევე დადგინდა, რომ პოლიცია მოქმედებდა პროცესუალური კანონმდებლობის დარღვევით.

41. 2003 წლის 25 აგვისტოს რკინიგზის რაიონის პროკურატურამ შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე სავარაუდო სასტიკ მოპყრობასთან, უკანონო დაკავებასა და პატიმრობასთან დაკავშირებით იმ საფუძველით, რომ პოლიციის თანამშრომლებს არ ჩაუდენიათ რაიმე უკანონო მოქმედება.

42. 2004 წლის 3 მარტს გენერალურმა პროკურატურამ გააუქმა 2003 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის შესახებ და განაახლა გამოძიება სასტიკ მოპყრობასა და უკანონო დაკავებასთან დაკავშირებით. რკინიგზის რაიონის პროკურატურას მიეცა 30 დღე გამოძიების დასასრულებლად გენერალური პროკურორის ზედამხედველობით. ამ გადაწყვეტილების შესაბამისი ნაწილი ითვალისწინებს შემდეგს:

„[განმცხადებელი] ამტკიცებდა, რომ პროკურორის ორდერის არარსებობის გამო ის შეეწინააღმდეგა პოლიციის უკანონო შესვლას მის ბინაში და უკანონო ჩხრეკას და, ამიტომაც, იქნა უკანონოდ დაკავებული, დაპატიმრებული და ნაცემი...

სამედიცინო შემოწმებამ ნათელჰყო ცემით გამოწვეული მრავალი დაზიანება, ... რომელთა წარმოშობის დრო და მიზეზი ემთხვევა [განმცხადებლის] მტკიცებას ... გამოძიებამ არ დაადგინა გარემოებები, რომლებმაც გამოიწვიეს ეს დაზიანებები.

ანგარიშები ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და 1999 წლის 13 თებერვალს განმცხადებლის დაკავების შესახებ ... შეიცავს ყალბ განცხადებებს თვითმხილველების მონაწილეობის შესახებ ... ეს გარემოებები არ იქნა სრულად გამოძიებული, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გახდნენ განმცხადებლის ადმინისტრაციული დაკავების საფუძველი.“

43. 2004 წლის 19 აპრილის წერილში მთავრობამ მიუთითა, რომ გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს. მხარეებს არ წარმოუდგენიათ რაიმე ახალი ცნობები გამოძიების მსვლელობის შესახებ.

B. შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა

1. ბოროტი დაუმორჩილებლობა

44. ადმინისტრაციულ კოდექსის (*Rj1trc j, flvbybcnhfnbdys[ghfdjyfheitybz[HCACH)* შესაბამისი დებულებები, რომლებიც მოქმედებდა 2002 წლის 1 ივლისამდე, ადგენს:

მუხლი 165

„ბოროტი დაუმორჩილებლობა პოლიციის თანამშრომლისა თუ სახალხო რაზმელის კანონიერი განკარგულებისა თუ მოთხოვნის მიმართ, ... ისჯება ჯარიმით მინიმალური ხელფასის 10-და 15 ოდენობით, ან ერთიდან ორ წლამდე გამოსასწორებელი სამუშაოთი ..., ან თუ ეს ღონისძიებები არასაკმარისად მიიჩნევა, 15 დღემდე პატიმრობით.“

2. მოწმეთა დაკითხვა

45. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნაწილი ადგენს:

მუხლი 155

„მოწმეები გამოიძახებიან დასაკითხად წერილობითი შეტყობინებით, რომლის გადაცემა დასტურდება მოწმის ხელმოწერით, ან მისი არყოფნის შემთხვევაში, მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის ხელმოწერით ...

შეტყობინებაში უნდა მიეთითოს ვინ გამოიძახება მოწმის სახით, სად და ვის წინაშე. რა დღეს და რომელ საათზე მოწმე უნდა წარდსგეს და ასევე არგამოცხადების შედეგები. მოწმე ასევე შეიძლება გამოიძახებულ იქნეს ტელეფონოგრაფით ან ტელეგრაფით.“

მუხლი 157

მოწმის დაკითხვა ხდება გამოძიების ადგილას. გამოძიებელს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ მოწმე დაიკითხოს მოწმის მდებარეობის ადგილას.

3. ადმინისტრაციული დაკავება და დაპატიმრება

46. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია, რომელიც მიღებულია 1993 წლის 12 დეკემბერს რეფერენდუმით, ადგენს შემდეგს:

მუხლი 22

„1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

2. დაკავება, დაპატიმრება და თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია სასამართლო გადაწყვეტილებით. დაუშვებელია ვინმეს დაკავება 48 საათზე მეტი ხნით, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე.“

ადმინისტრაციული კოდექსის მე-19 თავი (იხილეთ ზემოთ) ითვალისწინებს, რომ პოლიციამ შეიძლება მოახდინოს ადმინისტრაციული დაკავება, რათა თავიდან აიცილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა, დაადგინოს პირის ვინაობა, შეადგინოს ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ, თუ ეს აუცილებელი იყო და არ შეიძლებოდა ადგილზე განხორციელებულიყო და რათა უზრუნველყოფილიყო ეფექტიანი სასამართლო განხილვა ან ადმინისტრაციული სასჯელის აღსრულება. 242-ე მუხლი ადგენს, საკუთრივ, რომ ადმინისტრაციული დაკავების ხანგრძლივობამ არ შეიძლება გადააჭარბოს სამ საათს, გარდა ისეთი სამართალდარღვევებისა, მათ შორის, თუ პირი პოლიციის კანონიერ ბრძანებას ძალისმიერ წინააღმდეგობას უწევს, პირი შეიძლება დაკავებულ იქნეს იმ დროით, რა დროც აუცილებელია მისი საქმის რაიონული (საქალაქო) მოსამართლის ან პოლიციის ზემდგომი თანამდებობის პირის მიერ საქმის განსახილველად. 240-ე მუხლი ადგენს დაკავების ოქმის შედგენის მოთხოვნებს.

ადმინისტრაციული კოდექსი არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული დაკავების გასაჩივრებას, თუ ის შეფარდებულია მოსამართლის მიერ. შესაბამისი დებულებები ადგენს შემდეგს:

მუხლი 266

„რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ან მოსამართლის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით ...“

მუხლი 274

„რაიონული (საქალაქო) მოსამართლის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია ..., 165, ... მუხლებით შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს იმავე მოსამართლის მიერ პროკურორის პროტესტის საფუძველზე, ასევე ზემდგომი სასამართლი ინსტანციის თავმჯდომარის მიერ, თავისი ინციტატივით.“

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

47. კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე განმცხადებელი ჩივის, რომ პოლიცია მას სასტიკად მოეპყრო დაკავებისას და პოლიციის განყოფილებაში პატიმრობისას. განმცხადებელი ასევე ჩივის, რომ მისი განცხადებები სასტიკი მოპყრობის შესახებ ეფექტიანად არ გამოძიებულა, როგორც ამას მოითხოვს ამავე მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური ვალდებულება. კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილია შემდეგი:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასა და დასჯას.“

A. სავარაუდო სასტიკი მოპყრობა პოლიციის მხრიდან

1. მხარეთა პოზიციები

48. განმცხადებელმა მიუთითა, რომ 1999 წლის 13 თებერვალს ის დააკავეს ისეთი ფორმით, რამაც დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი. ის ასევე ამტკიცებდა, რომ პოლიციის განყოფილებაში მიყვანისთანავე იმ პოლიციელებმა სცემეს განმცხადებელი, რომლებმაც დაკითხეს, ხოლო შემდეგ იმავე დღეს ის სცემეს, როდესაც მან უარი განუცხადა შინ შეშვებაზე ბინის გასაჩხრეკად. ის ამტკიცებდა, რომ მან მიიღო დაზიანებები, როგორცაა სისხლჩაქცევები და დაბევილობები და შეშინებულად გრძნობდა თავს ასეთი მოპყრობის გამო. ის ასევე ამტკიცებდა, რომ ამის შემდეგ მას არ მიუღია სამედიცინო მომსახურება.

49. განმცხადებელმა წარმოადგინა სასამართლო-სამედიცინო დასკვნა, რომელიც ჩატარდა მისი განთავისუფლებიდან მოკლე ხანში.

დასკვნაში მითითებულია დაზიანებები, რომელიც შეესატყვისება მის მიერ მოვლენების გადმოცემას.

50. მთავრობამ თავის 2004 წლის 15 მარტის მემორანდუმში და 2004 წლის 19 აპრილის წერილში აღნიშნა, რომ მიმდინარეობს გამოძიება სასტიკი მოპყრობის შესახებ განმცხადებლის განცხადებებთან დაკავშირებით. მთავრობამ შეატყობინა სასამართლოს, რომ გენერალურმა პროკურატურამ გადასინჯა სისხლის სამართლის საქმე No.3467098, რომელიც ეხება პოლიციის თანამშრომლების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და 2004 წლის 3 მარტს განაახლა გამოძიება. მთავრობამ განაცხადა, რომ მას არ შეუძლია რაიმე კომენტარის გაკეთება ამ საჩივრების არსებით მხარესთან დაკავშირებით ვიდრე, ის არ დასრულდება.

51. ამ დროიდან მთავრობას არ მოუწოდებია დამატებითი ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობისა ან დადგენილი ფაქტების შესახებ.

2. სასამართლოს შეფასება

52. სასამართლო იხსენებს, რომ „თუ პოლიციის განყოფილებაში მიყვანილი პირი ჯანმრთელია, მაგრამ განთავისუფლებისას აღმოჩნდა, რომ აქვს დაზიანებები, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება წარმოადგინოს დამაჯერებელი განმარტება რამ გამოიწვია ასეთი დაზიანებები და, თუ მან ეს ვერ მოახერხა, წამოიჭრება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი“ (იხ. *Tomasi v. France*, 1992 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება, Series A no. 241-A, გვერდები 40-41, 108-ე-11-ე პუნქტები, და *Selmouni v. France* [GC], no. 25803/94, 87-ე პუნქტი, ECHR 1999-V).

53. ჩვენების შეფასებისას, სასამართლომ ზოგადად გამოიყენა მტკიცების კრიტერიუმი „გონივრული ეჭვის გარეშე“ (იხილეთ *Ireland v. the United Kingdom*, 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, Series A no. 25, 64-ე-65-ე გვერდები, 161-ე გვერდი). თუმცა ასეთი მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად სარწმუნო, დამაჯერებელი და შეწყობილი დასკვნების თანაარსებობიდან ან ფაქტის მსგავსი უდავო პრეზუმპციიდან. როდესაც შესაბამისი მოვლენები ექცევა, მთლიანად ან მნიშვნელოვანწილად, ხელისუფლების ექსკლუზიური გამგებლობის ქვეშ, როგორი შემთხვევაც არის პირების პატიმრობაში მოთავსება ხელისუფლების კონტროლის ქვეშ, წარმოიშობა ფაქტის მტკიცე პრეზუმპცია იმ დაზიანებების მიმართ, რომლებიც მოხდა ასეთი პატიმრობისას, მტკიცების ტვირთი მიიჩნევა, რომ არის ხელისუფლების მხარეს, რათა მან წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა (იხილეთ *Ribitsch v. Austria*, 1995 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, Series A no.336, 34-ე პუნქტი, *Salman v. Turkey* [GC], no. 21986/93, მე-100 პუნქტი, ECHR 2000-VII).

54. სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობას არ უდავია განმცხადებლის მიერ მოვლენების გადმოცემაზე ან სასამართლო-

სამედიცინო დასკვნაზე. 2003-2004 წლებში ჩატარებულ გამოძიებას არ წარმოუდგენია რაიმე ახალი ფაქტი ან მტკიცება, რომელიც არ წარმოუდგენია განმცხადებელს. არც მთავრობას წარმოუდგენია ალტერნატიული ახსნა იმისა, რამ გამოიწვია განმცხადებლის დაზიანებები. კერძოდ, შეიძლება გამოითქვას იმის დამამტკიცებელი ვარაუდი, რომ ეს დაზიანებები არ მომხდარა პოლიციის მიერ განმცხადებლის დაკავებამდე.

55. ამასთავე, ხელისუფლებამ აღიარა, რომ განმცხადებლის მტკიცებები დამაჯერებელი იყო. კერძოდ, გენერალურმა პროკურატურამ დაადასტურა, რომ განმცხადებელი თანამიმდევრული და სრული იყო თავის მტკიცებებში სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ განმცხადებლის დაზიანებები, რომლებიც აღნიშნულია სამედიცინო დასკვნაში შეესაბამება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტების გადმოცემას (იხ. 42-ე პუნქტი).

56. სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიცია ელოდებოდა, რომ განმცხადებელი მიაწვდიდა ინფორმაციას „ლ“-ის მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც სავარაუდოდ განმცხადებლის მეგობარი არის. ის ამახვილებს ყურადღებას წინააღმდეგობრივ ოფიციალურ განცხადებებზე, რატომ წაიყვანეს განმცხადებელი პოლიციის განყოფილებაში და ასკვნის, რომ განმცხადებელი წაიყვანეს განყოფილებაში დანაშაულის შესახებ მოწმის სახით დასაკითხად და არა უმნიშვნელო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით, რაც გამოიყენეს როგორც საბაბი. ამ დაკითხვას თან არ ახლდა რუსეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული ჩვეულებრივი პროცესუალური გარანტიები, როგორც არის დაკითხვის ჩაწერა, ადვოკატის ხელმისაწვდომობა და სხვა, შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია გამორიცხოს პოლიციის მიერ ძალის გამოყენება განმცხადებლისაგან ინფორმაციის მიღების მიზნით.

57. განმცხადებლის თანამიმდევრული და დეტალური განცხადებების გათვალისწინებით, რომლებიც დასტურდება სასამართლო-სამედიცინო დასკვნით და დამაჯერებელი განმარტების არარსებობის მხედველობაში მიღებით, რომლებიც ეხება პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ განმცხადებლის სხეულზე აღმოჩენილი დაზიანებების წარმოშობას, სასამართლო იზიარებს მოსაზრებას, რომ განმცხადებლის მიმართ პოლიციამ გამოიყენა სასტიკი მოპყრობა.

58. რაც შეეხება სასტიკი მოპყრობის აქტების სერიოზულობას, სასამართლო იხსენიებს, რომ იმისათვის, რომ განისაზღვროს უნდა დაკვალიფიცირდეს თუ არა წამებად სასტიკი მოპყრობის მოცემული ფორმა, მან მხედველობაში უნდა მიიღოს მე-3 მუხლით განმტკიცებული განსხვავება ამ ცნებასა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ცნებას შორის. არსებობდა იმის განზრახვა, რომ კონვენციამ, ამ განმსხვავების მეშვეობით, უნდა დააღოს სპეციალური სტიგმა წინასწარგანზრახულ არაადამიანურ მოპყრობას, რომელიც იწვევს ძალიან სერიოზულ და სასტიკ ტკივილს. სასამართლოს წინაშე ადრე იყო საქმეები, რომლებშიც მან დაადგინა, რომ განხორციელდა მოპყრობა,

რომელიც შეიძლება აღიწეროს მხოლოდ როგორც წამება. (იხილეთ *Aksoy v. Turkey*, 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions* 1996-VI, გვ. 2279, 64-ე პუნქტი; *Aydin v. Turkey*, 1997 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება, *Reports* 1997-VI, 1891-ე-92-ე გვერდები, 83-ე-84-ე და 86-ე პუნქტები; *Selmouni*, ზემოთ ციტირებული, 105-ე პუნქტი; *Dikme v. Turkey*, no. 20869/92, 94-ე-96-ე პუნქტები, ECHR 2000-VIII და შედარებით ახალი გადაწყვეტილება *Batc and Others v. Turkey*, nos. 33097/96 and 57834/00, 116-ე პუნქტი, ECHR 2004-...).

59. გასაჩივრებული აქტები მიზნად ისახავდნენ, გაეღვიძებინა და განმცხადებელში შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების გრძნობა, რასაც შეუძლია დაამციროს განმცხადებელი და, შესაძლოა, გატეხოს მისი ფიზიკური და მორალური წინააღმდეგობა. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ თავისუფლებაა დკვეთილი პირების მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც არ არის მკაცრად განპირობებული მათივე მოქმედებით, აკნინებს ადამიანურ ღირსებას და, პრინციპში, არის მე-3 მუხლით განმტკიცებული უფლების ხელყოფა (იხილეთ *Selmouni*, ზემოთ ციტირებული, 99-ე პუნქტი).

60. სასამართლო აღგენს, რომ წინამდებარე შემთხვევაში ფიზიკური ტკივილის ან ტანჯვის არსებობა დასტურდება სამედიცინო დასკვნით და განმცხადებლის მტკიცებით პატიმრობაში ყოფნისას მის მიმართ სასტიკი მოპყრობის შესახებ. მოვლენების თანამიმდევრობა ასევე მიუთითებს იმაზე, რომ განმცხადებელს განზრახ აქვს მიყენებული ტკივილი და ტანჯვა, საკუთრივ, განმცხადებლისაგან „ლ“-თან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით (იხ. 53-ე-53-ე პუნქტები).

61. „ტკივილისა და ტანჯვის“ სერიოზულობის შესაფასებლად, რომელიც მიაღმა განმცხადებელს, სასამართლომ განიხილა საქმის ყველა გარემოება, როგორცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური შედეგები და, ზოგიერთ შემთხვევაში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხილეთ, ზემოთციტირებული, 120-ე პუნქტი). სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ დროისათვის განმცხადებელი იყო 19 წლის და, როგორც მანდილოსანი, რომელიც წინააღმდეგობას უწევს რამდენიმე პოლიციელ მამაკაცს, ის იყო განსაკუთრებით დაუცველი. ამასთანავე, სასტიკი მოპყრობა გრძელდებოდა რამდენიმე საათი, რომლის განმავლობაში ის ორჯერ სცემეს და დაუქვემდებარეს ძლიერ ფიზიკური და მორალური ზემოქმედების სხვა ფორმებს.

62. ასეთ გამორეიმოებებში, სასამართლო ასკვნის, რომ ერთიანობაში და მისი მიზნისა და სერიოზულობის გათვალისწინებით, გამოყენებული სასტიკი მოპყრობა შეადგენს წამებას კონვენციის მე-3 მუხლის გაგებით.

63. სასამართლო ასკვნის, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

B. ეფექტიანი გამოძიების სავარაუდო ჩაუტარებლობა

1. მხარეთა არგუმენტები

64. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ უშუალოდ ამ მოვლენების შემდეგ მან შეიტანა რამდენიმე საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ პოლიციის იმ თანამშრომლების წინააღმდეგ, რომლებსაც ამ მოვლენებთან ჰქონდათ კავშირი; რომ განმცხადებელმა მიუთითა მათი სახელები და წოდებები და ასევე ამტკიცებდა, რომ შეუძლია მათი ამოცნობა; და რომ მან წარადგინა მიყენებული დაზიანებების დამადასტურებელი სასამართლო-სამედიცინო დასკვნა. მიუხედავად ამისა, არცერთმა მისმა საჩივარმა არ მიაღწია მიზანს და არ ჩატარებულა გამოძიება, სანამ მოპასუხე სახელმწიფოს არ შეეცდებინა ევროპული სასამართლოსათვის წარდგენილი განაცხადის შესახებ. რაც შეეხება 2003 წელს ჩატარებულ გამოძიებას, განმცხადებელი არ მიიჩნევს მას დაუყოვნებლად ან ეფექტიანად და უფრო მეტიც, განმცხადებელი შიშობდა, რომ ხელისუფლებას ექნებოდა უარყოფითი რეაქცია იმ ფაქტის მიმართ, რომ მან შეიტანა განაცხადი ევროპულ სასამართლოში და ეშინოდა მათთან კონტაქტისა. შესაბამისად, ის არ ასრულებდა აქტიურ როლს ამ პროცესში. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მან ჩვენება მისცა განმცხადებელს, ის არასოდეს არ ყოფილა ინფორმირებული ამ პროცესის შედეგების შესახებ.

65. მთავრობას არ მოუხდენია ამ საჩივართან დაკავშირებული საკითხების კომენტირება (იხ. ზემოთმოყვანილი 47-ე-48-ე პუნქტები).

2. სასამართლოს შეფასება

66. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო თვლის, რომ სამედიცინო დასკვნა და განმცხადებლის საჩივრები და ჩვენება წარმოშობს გონივრულ ეჭვს, რომ მისი დაზიანებები შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო პოლიციის მიერ.

67. როდესაც ინდივიდი წამოაყენებს სადავო მტკიცებას, რომ მის მიმართ პოლიციამ გამოიყენა სასტიკი მოპყრობა, რომელიც არღვევს მე-3 მუხლს, ეს დებულება, რომელიც უნდა იქნეს განხილული სახელმწიფოს ზოგად ვალდებულებასთან ერთად კონვენციის 1-ლი მუხლთან დაკავშირებით, რომ „ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“, არაპირდაპირ მოითხოვს, რომ ჩატარდეს ეფექტიანი ოფიციალური გამოძიება. ამ გამოძიების შედეგად უნდა გახდეს შესაძლებელი ამ პირთა იდენტიფიცირება და დასჯა (იხ. *Assenov and Others*, 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, *Reports* 1998-VIII, გვ. 3290, 102-ე პუნქტი და *Labita v. Italy*, [GC], no. 26772/95, 131-ე პუნქტი, ECHR 2000-IV). სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში განსაზღვრული ეფექტიანობის მინიმალური სტანდარტები ასევე მოიცავს მოთხოვნას, რომ გამოძიება იყოს დამოუკიდებელი, მოუკერძოებელი და დაექვემდებაროს საზოგადოებრივ ყურადღებას და რომ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები უნდა მოქმედებდნენ სამაგალითო გულმოდგინებით და დაუყოვნებლად (იხ.

მაგალითად, *Isayeva and Others v. Russia*, nos. 57947/00, 57948/00 and 57949/00, 2008-ე-213-ე პუნქტები, 2005 წლის 24 თებერვალი.)

68. სასამართლო ადგენს, რომ წარმოიშვა პროცესუალური ვალდებულება, გამოძიებულ იქნეს განმცხადებლის მტკიცება სასტიკი მოპყრობის შესახებ მაშინვე, როდესაც განმცხადებელმა წამოჭრა საკითხი ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების, ანუ პროკურატურისა და პოლიციის ზემდგომი ორგანოების წინაშე. მისი თხოვნები გამოძიების შესახებ შეტანილ იქნა ინციდენტიდან ერთი თვის განმავლობაში და შეიცავდა მოვლენების დეტალურ გადმოცემას, რაც პირდაპირ მიუთითებდა ცალკეულ პირებზე და თან ერთვოდა სასამართლო-სამედიცინო დასკვნა, რომელიც ადასტურებდა მის ისტორიას. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნულს არ მოჰყოლია გამოძიება. მოკვლევამ, რომელიც ჩატარდა შინაგან დეპარტამენტში (იხ. ზემოთმითითებული 25-ე პუნქტი), მიუხედავად იმისა, რომ მას მოჰყვა რამდენიმე დისციპლინური ბრალდება, არ გამოავლინა იმ პირთა სახელები, რომლებსაც წაეყენათ ბრალი ან მათი სასჯელის საფუძველი. მარტო ამ მიზეზით ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტიან გამოძიებად და მთავრობამ სწორადაც არ ჩათვალა ის ასეთად.

69. გამოძიება ხელახლა გაიხსნა გასაჩივრებული მოვლენების მხოლოდ თითქმის 4 წლის შემდეგ, როდესაც საკითხი გახდა შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების ყურადღების ობიექტი ევროპული სასამართლოსათვის განმცხადებლის მიმართვის გამო. საქმე გამოძიებულ იქნა სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების წესით, რომელიც, მიუხედავად დაგვიანებისა, არ იყო განწირული წარუმატებლობაზე, რადგან საქმის მასალები უკვე შეიცავდა განმცხადებლის მიერ წარდგენილ საკმარის დოკუმენტურ მტკიცებულებებს. მიუხედავად ამისა, გამოძიება არ იყო დამაკმაყოფილებელი, რადგან მან ვერ შეძლო დაედგინა არსებითი გარემოებები და პასუხი გაეცა მის წინაშე დასმულ კითხვებს, როგორცაა განმცხადებლის დაზიანებების წარმოშობა (იხ. ზემოთმითითებული 42-ე პუნქტი).

70. 2004 წლის 3 მარტს გენერალურმა პროკურორმა გასცა ბრძანება გამოძიების განახლების შესახებ, მაგრამ ამ დროიდან ამას არაფერი მოჰყოლია. შესაბამისად, სასამართლო მხოლოდ ის დარჩენია, დაასკვნას, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ხელისუფლებამ არ გამოასწორა გამოძიების დაუდევრობა, რომელსაც ის აშკარად აცნობიერებდა.

71. შესაბამისად, დაირღვა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი სასტიკი მოპყრობის შესახებ განმცხადებლის მტკიცების მიმართ ეფექტიანი გამოძიების არარსებობის გამო.

II. სასტიკი მოპყრობის მიმართ კონვენციის მე-13 მუხლის საპარაულო ღარღვევა

72. განმცხადებელი ასევე ამტკიცებს, რომ უარი ეთქვა ეფექტიანი დაცვის საშუალებაზე სასტიკი მოპყრობის შესახებ მისი კონვენციისეული

საჩივრის მიმართ. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ყველა მისი მცდელობა, აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე, წარუმატებლად დასრულდა, ისევე როგორც მისი მცდელობები, მიეღო ანაზღაურება სასამართლოსაგან სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. განმცხადებელი მიუთითებს მე-13 მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“

73. მთავრობას არ წარუდგენია კომენტარები, გარდა იმ კომენტარებისა, რაც მან წარადგინა კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით.

74. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-13 მუხლი მოითხოვს, რომ როდესაც დგას კონვენციით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე უფლების სადავო დარღვევის საკითხი, მსხვერპლისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ასეთი დარღვევისათვის სახელმწიფო მოხელეებისა ან ორგანოების პასუხისმგებლობის დადგენის მექანიზმი. ხელშემკვერელ სახელმწიფოებს მინიჭებული აქვთ გარკვეული დისკრეცია თუ როგორ დაექვემდებარებიან ისინი ამ დებულების თანახმად კონვენციისეულ ვალდებულებებს. როგორც საერთო წესი, თუ დაცვის ერთი საშუალება თავისთავად მთლიანად არ აკმაყოფილებს მე-13 მუხლის მოთხოვნებს, კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის საშუალებების ერთობლიობამ შეიძლება დააკმაყოფილოს ის (იხ. მრავალ სხვა საქმეებს შორის, *Kudla v. Poland*, [GC], no. 30210/96, 157-ე პუნქტი, ECHR 2000-XI; ასევე იხ. *Čonka v. Belguim*, no. 51564/99, 75-ე პუნქტი, ECHR 2002-I).

75. თუმცა, მე-13 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლები ვარირებს გამომდინარე განმცხადებლის საჩივრის ხასიათიდან და, ზოგიერთ შემთხვევაში, კონვენცია მოითხოვს განსაკუთრებული დაცვის საშუალების უზრუნველყოფას. ამდენად, საეჭვო სიკვდილის ან სასტიკი მოპყრობის საქმეებში, მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების ფუნდამენტური მნიშვნელობის გათვალისწინებით, მე-13 მუხლის მოითხოვს, საჭიროების შემთხვევაში, კომპენსაციის გაცემასთან ერთად, საფუძვლიან და ეფექტიან გამოძიებას, რომლის შედეგად შესაძლებელი იქნება პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და დასჯა (იხ. *Anguelova v. Bulgaria*, no. 38361/97, 161-ე-162-ე პუნქტები, ECHR 2002-IV; *Assenov and Others v. Bulgaria*, ზემოთ ციტირებული, 114-ე პუნქტი et seq.; *Süheyla Aydin v. Turkey*, no. 25660/94, 208 პუნქტი, 24 მაისი, 2005 წელი).

76. წინამდებარე საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები არიან პასუხისმგებელი დაზიანებებისათვის, რომლებიც მიადგა განმცხადებელს 1999 წლის 13 თებერვალს. განმცხადებლის საჩივრები შიდასახელმწიფოებრივი სახელმწიფო ორგანოების მიმართ ამ

თვალსაზრისით ეფუძნება იმავე ჩვენებას და შესაბამისად, არის სადავო მე-13 მუხლის მიზნებისათვის (იხ. *Boyle and Rice v. the United Kingdom*, 1988 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება, Series A no. 131, გვ. 23, 52-ე პუნქტი). ამდენად, ხელისუფლებას ეკისრებოდა ვალდებულება, ჩაეტარებინა ეფექტიანი გამოძიება პოლიციის თანამშრომელთა შესახებ განმცხადებლის მტკიცებებთან დაკავშირებით. ზემოთმოსხენიებული მიზეზების გამო, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩატარდა ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი გამოძიება. შესაბამისად, დაცვის ნებისმიერი სხვა საშუალებას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო განმცხადებლისათვის, სარჩელი მიყენებული ზიანის შესახებ, წარმატების შეზღუდული შანსი ჰქონდა. მაშინ როდესაც სამოქალაქო სასამართლოებს აქვთ ფაქტის დამოუკიდებელი შეფასების უნარი, პრაქტიკაში წინმსწრები სისხლისსამართლებრივ მოკვლევისადმი მიკუთვნებულ წონას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ყველაზე დამაჯერებელი საწინააღმდეგო მტკიცებაც კი ხშირად უარყოფილია როგორც „უადგილო“. სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც წამოიწყო განმცხადებელმა, ახდენს ამის ილუსტრირებას. სასამართლომ უბრალოდ გაიზიარა პროკურორის აზრი საქმეში არსებული ფაქტების ყოველგვარი განხილვის გარეშე, რომ განმცხადებლის მტკიცება არ იმსახურებდა ყურადღებას, (იხ. ზემოთმოსხენიებული 29-ე და 30-ე პუნქტები). შესაბამისად, საქმის გარემოებების მიხედვით, სარჩელი ზარალის შესახებ იყო მხოლოდ თეორიული და ილუზორული დაცვის საშუალება, რომელსაც არ ჰქონდა უნარი, მიეცა განმცხადებლისათვის ანაზღაურების მიღების საშუალება.

77. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებელს უარი ეთქვა შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებაზე პოლიციის მიერ სასტიკი მოპყრობის მიმართ. ამდენად, დაირღვა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი.

III. კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების სავარაუდო დარღვევა აღმინისტრაციულ დაკავებასთან დაკავშირებით

78. განმცხადებელი ასაჩივრებს, რომ მისი დაკავება 1999 წლის 13 თებერვალს, პატიმრობა დამის განმავლობაში პოლიციის განყოფილებაში და მომდევრო ხუთდღიანი პატიმრობა იყო უკანონო. ეს საჩივრები გამოცხადდა დასაშვებად კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად.

მე-5 მუხლი

„1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, ესენია:

a. უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება;

b. პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

c. პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა;

d. არასრულწლოვანის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან მისი კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად;

e. პირთა კანონიერი დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ მანქანების კანონიერი დაპატიმრება;

f. პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, ან იმ პირის დაკავება თუ დაპატიმრება, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციისა თუ ექსტრადიციის მიზნით.

...

4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.

მე-6 მუხლი

„... წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ.“

79. მთავრობამ დაადასტურა, რომ განმცხადებლის დაკავება და დაპატიმრება იყო უკანონო. თუმცა, ის ამტკიცებს, რომ განმცხადებელი აღარ უნდა ჩაითვალოს სავარაუდო დარღვევათა მსხვერპლი ამ თავის მიხედვით. მთავრობამ მიუთითა როსტოვის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის 2003 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებაზე, რომელმაც დაადგინა, რომ განმცხადებლის დაკავება არღვევდა ეროვნულ კანონმდებლობას და გააუქმა 1999 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება.

80. მთავრობის მოსაზრებით, ამ გადაწყვეტილებამ მისცა განმცხადებელს შესაძლებლობა, მოეთხოვა კომპენსაცია ცალკე სამოქალაქო სამართალწარმოებაში მიყენებული არამატერიალური ზიანისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის გამო, როგორც ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 1070-ე და 1100-ე მუხლებით. მთავრობა თვლის, რომ ვინაიდან განმცხადებელმა არ შეიტანა ასეთი სარჩელი მიყენებული ზიანისათვის, მას არ ამოუწურავს დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები და, შესაბამისად, სასამართლომ უარი უნდა განაცხადოს საჩივარზე განმცხადებლის დაკავებასთან დაკავშირებით.

81. განმცხადებელმა სადავო გახადა მთავრობის პოზიცია და დაადასტურა თავისი საჩივრები.

82. თავის შეპასულებაში მთავრობამ მიმართა სასამართლოს თხოვნით, დაესკვნა, რომ 2003 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებამ მიანიჭა განმცხადებელს მსხვერპლის სტატუსი და რომ მან უნდა მიმართოს კომპენსაციისათვის. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ არსებითად იგივე შეპასულება უკვე იყო წამოყენებული მოპასუხე მთავრობის მიერ და მასზე უარი განაცხადა სასამართლომ განაცხადის დასაშვებობის შესახებ თავის გადაწყვეტილებაში. შესაბამისად, სასამართლო არ განიხილავს მთავრობის შეპასულებას.

A. დაკავების კანონიერება

83. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აღნიშნავს, რაც არ გამხდარა სადავო მხარეები მიერ, რომ განმცხადებლის დაკავება, პატიმრობა ღამის განმავლობაში პოლიციის განყოფილებაში და მომდევრო ხუთდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეადგენდა თავისუფლების აღკვეთას კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის გაგებით.

84. პირველი განსახილველი საკითხია, მოიცავს თუ არა დაკავებას თავისუფლების აღკვეთის რომელიმე დაშვებული საფუძველი, რომელიც ამომწურავად არის ჩამოთვლილი მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტში, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის დაკავება ხვდება ორ სხვადასხვა პერიოდში, ანუ 1999 წლის 14 თებერვალს მოსამართლესთან შემდგარ შეხვედრამდე და მის შემდეგ. ამ დღეს განმცხადებელს მიესაჯა ხუთდღიანი პატიმრობა, რაც უკავშირდებოდა განმცხადებლის მიერ სავარაუდოდ ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას; შესაბამისად, ამ თვალსაზრისით მის დაკავებას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული საფუძველები. რაც შეეხება წინმსწრებ პატიმრობას ღამის განმავლობაში, ის რჩება აუხსნელი. სასამართლო განიხილავს ამ პერიოდებს ცალ-ცალკე.

1. დაკავება და პატიმრობა ღამის განმავლობაში

85. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის დაკავების ერთ-ერთ ეტაპზე, მას წაყენა ოფიციალური ბრალდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის და თეორიულად, განმცხადებელი უნდა ყოფილიყო დაპატიმრებული ადმინისტრაციული კოდექსის 242-ე მუხლის შესაბამისად, სანამ მისი ადმინისტრაციული საქმის მოსმენას ჩაატარებდა მოსამართლე. თუმცა, როგორც გაირკვა, პოლიციის განყოფილებაში მისი წარდგენის ჭეშმარიტი მიზეზი იყო, აქტულებიდათ ის, რომ მიეცა ინფორმაცია „ლ“-ის საქმეზე და გამოერთვათ მისი ბინის გასაღები. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ბრალდების წაყენება აშკარად უბრალო საბაბი იყო, რათა მომხდარიყო მისი დაკითხვა.

86. ასეთ გარემოებებში სასამართლოს შეუძლია, რომ არ მიიღოს გადაწყვეტილება იმაზე, იყო თუ არა განმცხადებლის პატიმრობა ღამის განმავლობაში საერთოდ მოცული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის რომელიმე ქვეპუნქტით, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში გამოყენება ეს მოსაზრებანი.

87. პირველ რიგში, სასამართლო აღნიშნავს, რომ ვერანაირი ღოკუმენტი ვერ იქნა აღმოჩენილი, რომელიც კონკრეტულად ეხება განმცხადებლის დაკავებას და მის დაპატიმრებას ღამის განმავლობაში პოლიციის განყოფილებაში (იხ. ზემოაღნიშნული 27-ე პუნქტი). შესაბამისად, 20 საათის განმავლობაში განმცხადებლის დაკავებიდან არ გაკეთებულა რაიმე ჩანაწერი იმის შესახებ, ვინ იყო განმცხადებელი და რა იყო მისი დაპატიმრების მიზეზი. ვარაუდის შემთხვევაშიც კი, რომ პოლიციას განზრახული ჰქონდა, წარედგინა მისთვის ბრალდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, ეს მაინც არ ათავისუფლებდა მათ საბაზისო ფორმალობების შესრულებისაგან, განმცხადებლისათვის თავისუფლების აღკვეთამდე. ეს ფაქტი თავისთავად უნდა იქნე მიჩნეული სერიოზულ ხარვეზად, რადგან სასამართლოს ტრადიციული მოსაზრებაა, რომ ინდივიდის თავისუფლების დაუდასტურებელი აღკვეთა არის კონვენციით გათვალისწინებული ფუნდამენტული გარანტიების სრული იგნორირება და იწვევს ამ უფლების ძალიან უხეშ დარღვევას. ისეთ საკითხებზე ჩანაწერების არარსებობა, როგორცაა დაპატიმრების თარიღი, დროს და ადგილი, დაპატიმრებულის სახელი, დაპატიმრების მიზეზები და იმ პირის სახელი, ვინც ეს მოახდინა, უნდა იყოს მიჩნეული კანონიერების მოთხოვნისა და კონვენციის მე-5 მუხლის მიზანთან შეუსაბამოდ (*Anguelova v. Bulgaria*, ზემოთ მითითებული, 154-ე პუნქტი და *Kurt v. Turkey*, 1998 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, *Report of Judgments and Decisions* 1998-III, 125-ე პუნქტი).

88. ამასთანავე, მთავრობის მიერ საქმის დასაშვებად გამოცხადების შემდეგ წარმოდგენილი კომენტარებიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ განმცხადებლის დაკავება იყოს უკანონო ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით (იხ. ზემოთმითითებული 39-ე-40-ე პუნქტები).

89. ამის ფონზე, სასამართლო ასკვნის, რომ პერიოდი განმცხადებლის დაპატიმრებიდან 1999 წლის 14 თებერვალს მოსამართლის წინაშე წარდგენამდე არ აკმაყოფილებს მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტით დადგენილ გარანტიებს. შესაბამისად, დაირღვა ეს მუხლი.

2. ხუთდღიანი პატიმრობა პოლიციისათვის ძალისმიერი წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით

90. 1999 წლის 14 თებერვალს განმცხადებელი წარუდგინეს მოსამართლეს, რომელმაც დაადგინა, რომ მან პოლიციას გაუწია ძალისმიერი წინააღმდეგობა, ადმინისტრაციული კოდექსის 165-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, და მიუსაჯა მას ხუთდღიანი პატიმრობა. 2003 წლის 5 მარტს ეს გადაწყვეტილება უკანონოდ გამოცხადდა და გაუქმდა. აუცილებელია განისაზღვროს, ამ

სასჯელის მოხდა, რაც მოჰყვა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მსჯავრდებას, განხორციელდა თუ არა მე-5 მუხლის შესაბამისად, მე-6 მუხლის მიხედვით საქმის გარემოებების წინასწარი გადაწყვეტის გარეშე.

91. სასამართლო იხსენიებს შემდეგ ზოგად პრინციპებს, რომლებიც დადგინდა საქმეზე *Benham v. the United Kingdom* (1996 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება, *Reports* 1996-III, მე-40-42-ე პუნქტები) და დადასტურდა სხვა საქმეებზე (იხ. *Lloyd and Others v. the United Kingdom*, nos. 29798/96 et seq., 2005 წლის 1 მარტი; და *Perks and Others v. the United Kingdom*, nos. 25277/94 et seq., 1999 12 ოქტომბერი):

40. ძირითადი საკითხი, რომელიც ამ საქმეში უნდა განისაზღვროს არის ის, „კანონიერია“ თუ არა სადავო პატიმრობა, იმის ჩათვლით, შეესაბამება თუ არა ის „კანონით განსაზღვრულ პროცედურას“. აქ კონვენცია ძირითადად მიუთითებს ეროვნულ კანონმდებლობაზე და ადგენს მატერიალური და პროცესუალური წესების დაკმაყოფილების ვალდებულებას, მაგრამ ამასთან დამატებით ის ადგენს, რომ თავისუფლების რაიმე ფორმით აღგვეთა უნდა შეესაბამებოდეს მე-5 მუხლის მიზანს, კერძოდ უკანონობისაგან ინდივიდების დაცვას ...

42. პირველ რიგში ეროვნულმა ხელისუფლებამ, განსაკუთრებით კი სასამართლოებმა უნდა განმარტონ და გამოიყენონ ეროვნული კანონმდებლობა. თუმცა, ვინაიდან მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით ეროვნული კანონმდებლობის შეუსრულებლობა იწვევს კონვენციის დარღვევას, სასამართლოს შეუძლია და უნდა გამოავლინოს გარკვეული უფლებამოსილება, გადახედოს საკითხის კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

42. პატიმრობის პერიოდი პრინციპში კანონიერი იქნება, თუ ის განხორციელდა სასამართლოს ბრძანებით. მოგვიანებით იმის დადგენამ, რომ სასამართლომ დაუშვა ისეთი ბრძანების გამოცემით, აუცილებლად არ უნდა მოახდინოს გაფლენა პატიმრობის პერიოდის კანონიერების უკუქცევით ძალაზე. ამ მიზეზით, სტრასბურგის ორგანოები მუდმივად უარს აცხადებენ საჩივრების დაკმაყოფილებაზე ისეთი პირებისაგან, რომლებსაც წაყენებული აქვს სისხლისსამართლებრივი ბრალდება და რომლებიც ასაჩივრებენ, რომ მათი ბრალდება ან სასჯელი სააპელაციო სასამართლომ მცდარად მიიჩნია.

92. სასამართლო აღნიშნავს, რომ ხუთდღიანი პატიმრობა განხორციელდა იმ მოსამართლის ბრძანების შესაბამისად, რომელიც პრინციპში კომპეტენტური იყო მიეღო ასეთი გადაწყვეტილება. ამ ბრძანების არსებითი სისწორე ზოგადად ცდება სასამართლოს განსჯის არეალს, როგორც ეს გამომდინარებს ზემოთ ციტირებული პრეცედენტული სამართლიდან. თუმცა, ეს საქმე განსხვავდება იმ საქმეებისაგან, რომლებშიც სადავო გადაწყვეტილებები კეთილსინდისიერად მიიღო სასამართლო ხელისუფლებამ, კანონით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით. ამ საქმეში მოსამართლემ, საპირისპიროდ, განახორციელა თავისი უფლებამოსილება კონვენციით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიებთან აშკარად დარღვევით. შესაბამისად, პატიმრობის შესახებ ბრძანება ეწინააღმდეგებოდა უკანონობისაგან დაცვას, რაც გარანტირებულია კონვენციის მე-5 მუხლით.

93. აქედან გამომდინარე, დაირღვა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი განმცხადებლის ხუთდღიან პატიმრობასთან დაკავშირებით.

B. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

1. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენება

94. მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლის გამოყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ არის სადავო, სასამართლო მიიჩნევს აუცილებლად, რომ თავისი ინიციატივით იმსჯელოს ამ საკითხზე. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ის თვლის, რომ ამ სამართალწარმოებას შეეხება აქვს სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრასთან განმცხადებლის მიმართ.

95. სასამართლო აღნიშნავს, დარღვევა რომ დაკვალიფიცირდეს „სისხლისსამართლებრივად“ კონვენციის მიზნებისათვის, პირველ რიგში აუცილებელია იმის დადგენა, დარღვევის განმსაზღვრელი დებულება განეკუთვნება თუ არა სისხლის სამართალს, მოპასუხე სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით; შემდეგ უნდა განისაზღვროს „დარღვევის ბუნება“ და სასჯელის სიმკაცრის ხარისხი (იხ. *Öztürk v. Germany*, 1984 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, Series A no. 73, გვ. 18, 50-ე პუნქტი და *Demicoli v. Malta*, 1991 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება, Series A no. 210, გვ. 15-17, 31-ე-34-ე პუნქტები).

96. რაც შეეხება შიდასახელმწიფოებრივ კლასიფიკაციას, სასამართლომ ადრე უნდა განიხილა სფეროები, რომლებიც კანონმდებლობით განსაზღვრული იყო, როგორც „ადმინისტრაციული“ და დაადგინა, რომ ის მოიცავს ზოგიერთ ისეთ სამართალდარღვევას, რომლებიც თავისი ბუნებით სისხლისსამართლებრივია, მაგრამ ძალზე უმნიშვნელოა, რომ მათი რეგულირება მოხდეს სისხლის სამართლისა და პროცედურის მიხედვით (იხ. *Palaoro v. Austria*, 1995 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, Series A no. 329-B, გვ. 38, 33-ე-35-ე პუნქტები). რუსეთის კანონმდებლობაშიც ეს ასეა.

97. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ თავისუფლების დაკარგვა, რომელიც გამოიყენება როგორც სასჯელი დანაშაულისათვის, ზოგადად განეკუთვნება სისხლისსამართლებრივ სფეროს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, თუ თავისი ბუნებით, ხანგრძლივობით ან აღსრულების ხერხი არ იწვევს არსებითი ზიანის მიყენებას (*Engel and Other v. the Netherlands*, 1976 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, Series A no. 22, 82-ე-83-ე პუნქტები და *Ezeh and Connors v. the United Kingdom* [GC], nos. 39665/98 და 40086/98, 69-ე და 130-ე პუნქტები, ECHR 2003-X). ამ საქმეში განმცხადებელს აღეკვეთა თავისუფლება ხუთი დღის განმავლობაში და მოთავსდა დაკავების ცენტრში სასჯელის პერიოდის განმავლობაში. საბოლოოდ, განმცხადებლის მიმართ გამოყენებული საკვების მიზანი აშკარად დასამსჯელო იყო.

98. ეს მოსაზრებები საკმარისია იმის დასადგენად, რომ დანაშაული, რომელშიც განმცხადებელს ბრალი დაედო შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც „სისხლისსამართლებრივი“ კონვენციის მიზნებისათვის. აქედან გამომდინარე, რომ გამოყენება მე-6 მუხლი.

2. დაკმაყოფილდა თუ არა განმცხადებლის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

99. მთავრობა დათანხმდა იმას, რომ მოცემული პროცესი ხასიათდებოდა ხარვეზებით როგორც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობასთან, ისე კონვენციასთან მიმართებით. მართლაც, სასამართლო ბრძანება, რომელმაც გააუქმა ზემოხსენებული გადაწყვეტილება, ადგენდა, რომ „მოსამართლემ, რომელმაც განაჩენი გამოუტანა განმცხადებელს, არ განუხილავს საქმის გარემოებები და არ დაუდგენია მისი ბრალეულობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში“. ამას ადასტურებს განმცხადებლის მტკიცებები, რომ არ ჩატარებული სასამართლო პროცესი როგორც ასეთი და რომ სასამართლო პროცესის ფორმალური მხარეც კი იგნორირებული იყო იმის გამო, რომ მას არ მიეცა შესაძლებლობა, დაედგინა მოსამართლე „პ“-ს წინაშე მისი ხანმოკლე წარდგენის მიზეზი.

100. აქედან გამომდინარეობს, რომ დაირღვა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

IV. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩაღენაში ბრალდების ბასაჩივრების შეუძლებლობა

101. განმცხადებელი ასაჩივრებს, რომ ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებდა მის ადმინისტრაციულ პატიმრობას არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას. შესაბამისად, ის ამტკიცებს, რომ არ არსებობდა ეფექტიანი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალება ამ თვალსაზრისით. განმცხადებელმა მოიშველია კონვენციის მე-13 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“

ეს საჩივარი ასევე გამოცხადდა დასაშვებად კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რომელიც ადგენს შემდეგს:

„ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.“

102. მთავრობა დათანხმდა, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით ასეთი გადაწყვეტილება არ შეიძლება გასაჩივრდეს.

103. პირველ რიგში სასამართლო მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული დასკვნა, რომლის მიხედვით განმცხადებლის ადმინისტრაციული დაკავების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ“ სასამართლო სამართალწარმოებაში, რომელიც ხვდება მე-6 მუხლის მოქმედების სფეროში (იხ. ზემოთმითითებული 90-ე და 95-ე პუნქტები).

104. სასამართლო იხსენიებს, რომ მცდარი სასამართლო გადაწყვეტილებისათვის რეგრესის უფლება არ არის აღიარებული ზოგად გარანტიად (იხ. *Delcourt v. Belgium*, 1970 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება, Series A no. 11, გვ. 14, 25-ე პუნქტი). ეს უფლება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საქმეებისათვის მე-7 ოქმის მე-2 მუხლით, უმნიშვნელო ხასიათის სამართალდარღვევების გარდა. თუმცა განმცხადებელს არ მიუთითებია ამ მუხლზე და არ წარმოუდგენია არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, ეხებოდა თუ არა მის მიმართ წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდება „უმნიშვნელო ხასიათის სამართალდარღვევას“. სასამართლო არ თვლის აუცილებლად, რომ წამოჭრას ეს საკითხი თავისი ინიციატივით.

105. რაც შეეხება მე-13 მუხლს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი არის *lex specialis* მე-13 მუხლთან მიმართებით, სხვა სიტყვებით კი, მე-13 მუხლის მოთხოვნები ნაკლებად მკაცრია ვიდრე, და შტანთქულია, მე-6 მუხლის მოთხოვნებით (იხ. *mutatis mutandis, Kamasinski v. Austria*, 1989 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება, Series A no. 168, გვ. 45-46, 110-ე პუნქტი). როგორც წესი, მე-13 მუხლი არ გამოიყენება, როდესაც კონვენციის სავარაუდო დარღვევა მოხდა სასამართლო სამართალწარმოების კონტექსტში (იხ. *Pizzetti v. Italy*, 1993 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება, Series A no. 257-C, გვ. 40-41, 41-ე პუნქტი). ამ პრინციპიდან ერთადერთი გამონაკლისი იყო მე-13 მუხლის თანახმად შეტანილი საჩივარი „გონივრული დროის“ მოთხოვნის დარღვევასთან დაკავშირებით (იხ. *Kudla v. Poland [GC]*, no. 30210/96, 146-ე-149-ე პუნქტები, ECHR 2000-XI). ვინაიდან ამ საქმეში ეს ასე არ არის, მე-13 მუხლის ცალკე დარღვევის საკითხი არ დგას.

106. რაც შეეხება მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი გარანტიები პრინციპში გადაჭარბებულია მე-5 მუხლის 1-ლი (a) პუნქტით განხორციელებული დაკავების მიმართ, რადგან თავისუფლების აღკვეთის სასამართლო კონტროლი უკვე ინკორპორირებულია პირველად ბრალდებასა და მსჯავრდებაში (იხ. *De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium*, 1971 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება (არსებითი მხარე), Series A no. 12, გვ. 40, 76-ე პუნქტი). ამ საქმის ფაქტებთან მიმართებით, განმცხადებლის ხუთდღიანი დაკავება ეფუძნებოდა მხოლოდ მის მსჯავრდებას მოსამართლის მიერ, შესაბამისად, მე-5 მუხლის მე-4

პუნქტი სი მოითხოვს, რომ ცალკე სასამართლო ორგანომ გადახედოს ამ გადაწყვეტილებას.

107. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკენის, რომ ეს საჩივარი არ წარმოშობს ცაკლე საკითხს კონვენციის მე-13 მუხლთან ან მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით.

V. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

108. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. ზიანი

109. განმცხადებელმა მოითხოვა 100,000 ევრო (EUR) არამატერიალური ზიანისათვის იმ დაზიანებებისა და ტკივილისათვის, რომელიც მან მიადგა პოლიციის მხრიდან სასტიკი მოპყრობის განხორციელების შედეგად და იმ ტანჯვისათვის, რომელიც გამოწვეულ იქნა ადმინისტრაციული პროცესითა და მომდევნო პატიმრობით, ასევე როგორც ხელისუფლების უმოქმედობით, სასტიკი მოპყრობის შესახებ განმცხადებლის საჩივრის მიმართ.

110. რაც შეეხება მატერიალურ ზიანს, განმცხადებელმა მოითხოვა 25 მანეთი (RUR), თანხა, რომელიც დაეკისრა მას დაკავების ცენტრში ხუთდღიანი პატიმრობისათვის.

111. მთავრობას არ წარმოუდგენია კომენტარები განმცხადებლის მოთხოვნასთან დაკავშირებით ნაწილობრივ იმის გამო, რომ გრძელდებოდა გამოძიება სასტიკი მოპყრობის შესახებ, და, ნაწილობრივ, იმის გამო, რომ მთავრობის აზრით, დაპატიმრებასთან მიმართებით განმცხადებელს არ ამოუწურავს დაცვის საშუალებები.

112. სასამართლო აღნიშნავს, როგორც ეს მან ზემოთ დაადგინა, ხელისუფლებამ აწამა განმცხადებელი და არ უზრუნველყო სწრაფი და საჯარო გამოძიება, რომელიც აკმაყოფილებს კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს. ასევე დადგინდა, რომ განმცხადებელს აღეკვეთა თავისუფლება მე-5 მუხლის დარღვევით, ხოლო პროცესი ჩატარდა მე-6 მუხლის დარღვევით. ამასთანავე, განმცხადებელმა გაატარა თვეები წარუმატებელ მცდელობებში, რომ სასტიკი მოპყრობის აქტების შიდასახელმწიფოებრივი დაცვა უზრუნველყო. განმცხადებელს უნდა მისდგომოდა ტკივილი და ტანჯვა ყველა ამ გარემოების გამო. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ანიჭებს განმცხადებელს, სამართლიანობის საფუძველზე, 35,000 ევროს

არამატერიალური ზიანისათვის და 25 RUR მატერიალური ზიანისათვის, რასაც ემატება ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხას შეიძლება დაეკისროს.

B. ხარჯები

113. განმცხადებელი მოითხოვდა 5,000 RUR იმ ხარჯებისა და დანახარჯებისათვის, რომელიც გაღებულ იქნა ეროვნული სამართალწარმოებისათვის და ევროპული სასამართლოსთან დაკავშირებით, მათ შორის საგერბო მოსაკრებელი, თარგმანის ხარჯი, საფოსტო და საკანცელარიო ხარჯები.

114. მთავრობამ არ გამოთქვა საწინააღმდეგო აზრი.

115. ამ ფონზე, სასამართლოს დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა არის გონივრული და შესაბამისად, ანიჭებს მას 5,000 RUR ხარჯების ასანაზღაურებლად, რასაც ემატება ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხას შეიძლება დაეკისროს.

C. საპროცენტო განაკვეთი

116. სასამართლო თვლის, რომ საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის სესხის საშუალო განაკვეთის ოდენობით, პლიუს სამი პროცენტი.

ამის საფუძველზე, სასამართლო ერთსულოვნად:

1. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი სასტიკი მოპყრობის გამო;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი განმცხადებლის სასტიკი მოპყრობის შესახებ მტკიცებასთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების არარსებობის გამო;
3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი სასტიკის მოპყრობის მიმართ ეფექტიანი დაცვის საშუალებების არარსებობის გამო;
4. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი განმცხადებლის დაკავებასა და ღამის განმავლობაში დაპატიმრების გამო;
5. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი განმცხადებლის ხუთდღიანი პატიმრობის გამო;
6. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი;

7. ადგენს, რომ არ არის საჭირო მე-5 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-13 მუხლის ცაკლე განხილვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სანქციის გამოყენების გასაჩივრების უფლებასთან მიმართებით;

8. ადგენს:

(a) რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს განმცხადებელს კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის განმავლობაში შემდეგი თანხები:

(i) 25 RUR (ოცდახუთი მანეთი) მატერიალური ზიანისათვის;

(ii) 35,000 EUR (ოცდათხუტმეტი ათასი ევრო) არამატერიალური ზიანისათვის, რომელიც უნდა იქნეს გადაყვანილი მოპასუხე სახელმწიფო ეროვნულ ვალუტაში გაცემის დღეს არსებული კურსის მიხედვით;

(iii) 5,000 RUR (ხუთი ათასი მანეთი) ხარჯებისათვის;

(iv) ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხას შეიძლება დაეკისროს.

(b) რომ ზემოხსენებული სამი თვის გასვლის შემდეგ უნდა იყოს გადახდილი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც განისაზღვრება ევროპის ცენტრალური ბანკის სესხის საშუალო განაკვეთის ოდენობით, პლიუს სამი პროცენტი.

9. უარს აცხადებს მოსარჩელის დანარჩენ მოთხოვნაზე სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გაცხადებულია 2006 წლის 9 მარტს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სორენ ნილსენი
რეგისტრატორ

ხრისტოს როზაკისი
თავმჯდომარე